ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №555219

ნომერი: AR1108232

თარიღი : 15.02.2013

გაცემის თარიღი : 20.02.2013

გაცნობის თარიღი : 19.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მელიტონ ქანთარიას ქ.N11ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ნათაძე პ/ნ 01017018872
- თბილისი გ.ქუჩიშვილის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია აივნის ამოშენება-შემინვა
  კორექტირება
- სახურავზე კეხის სიმაღლისა და ქანობის შეუცვლელად სამერცხლულის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის კარის ღიობის გაჭრის, პანდუსის მოწყობის, სარდაფში ფანჯრის ღიობების გაჭრის და მანსარდის ნაწილობრივი ამოშენების დადასტურებაში კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, მელიტონ ქანთარიას ქ. #11ა-ში, ა.ი.პ. "თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობაზე კარის ღიობის გაჭრის, პანდუსის მოწყობის, სარდაფში ფანჯრის ღიობების გაჭრის და მანსარდის ნაწილობრივი ამოშენების შესაძლებლობის დადასტურებაში (გადაწყვეტილება №300459) ცვლილების შეტანას (სამერცხულების მოწყობით). პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტექტურის სამსახური".
,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტიდან N 882011315823; 06/07/2011 წ. საკადასტრო კოდი N 01.10.13.009.017, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, მელიტონ ქანთარიას ქ. #11ა-ში, ა.ი.პ. "თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობაზე კარის ღიობის გაჭრის, პანდუსის მოწყობის, სარდაფში ფანჯრის ღიობების გაჭრის და მანსარდის
ნაწილობრივი ამოშენების შესაძლებლობის დადასტურებაში (გადაწყვეტილება №300459) ცვლილების შეტანას.
.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.